

მტკიცებათა სქემებისათვის თეორემათა  
მამტკიცებლის შექმნა (52/01)  
შუალედური ანგარიში

მიხეილ რუხაია

მოსხენება გაყოფილია ორ ნაწილად: პირველ ნაწილში გადმოცემულია ფორმულათა სქემების ცნება და მათთვის განსაზღვრულია სეკვენციათა აღრიცხვა. შემდეგ ავაგებთ მტკიცებათა ძეგლის ალგორითმს, რომელიც მოცემული ფორმულათა სქემისათვის გვაძლევს მტკიცებათა სქემას. ფორმულათა სქემებში შესრულებადობის პრობლემა არ არის გადაწყვეტადი, შესაბამისად მოცემული ალგორითმი არ შეიძლება იყოს სრული.

მეორე ნაწილში წარმოვადგენთ გრაფიკულ ინტერფეისს **ProofTool**, რომელიც გამოიყენება მტკიცებათა ვიზუალიზაციისა და მანიპულაციისათვის. მტკიცებათა ხეების საყოველთაოდ ცნობილ წარმოდგენასთან ერთად, ჩვენ დავამატეთ ახალი გარსი, რომელიც მტკიცებათა ხეებს წარმოადგენს წრიულად. შესაბამისად მტკიცებათა ხეები უფრო ნაკლებ ადგილს იკავებენ ეკრანზე და მათი სტრუქტურის აღქმა ბევრად ადვილდება.